პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 81 (4075) 25 აპრილი. 1970 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ლესელიძე, ევროპის სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მძლეოსანთა მტყორცნელების აქ გამართულ შეჯიბრებაში მოსკოველმა ი. სოლონცოვამ 60,70 მეტრზე ტყორცნა ბადრო, რაც ზუსტად 1 მეტრით აღემატება ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონის თ. პრესის მიერ 1965 წელს დამყარებულ საკავშირო რეკორდს. სოლონცოვა პირველი საბჭოთა მტყორცნელი ქალია, რომლის ბადრომ 60-მეტრიანი ზღვარი გადალახა. სსრ კავშირის ახალი რეკორდი საუკეთესოა წლევანდელ მსოფლიოში და მეოთხე შედეგია მძლეოსნობის ისტორიაში.

# მეთერთმეტედ!

საინფორმაციო ცნობა მოვიდა მოსკოვიდან: ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის 1969 წლის მაჩვენებლების მიხედვით საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაცია ზედიზედ მეთერთმეტედ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით და საპატიო სიგელით.

ამასთან, ჩვენმა რესპუბლიკამ მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის საუკეთესოდ დაყენებისთვის საკავშირო ფიზკულტურის კომიტეტის თასიც შეინარჩუნა.

# ქართველ ძალოსანს ბადალი არ ჰყავდა



ვილნიუსში მიმდინარეობს სსრ კავშირის ჩემპიონატი ძალოსნობაში. ტრადიციისამებრ, ფიცარნაგი პირველად უმჩატესი წონის ათლეტებმა მოსინჯეს. აქ თავიდანვე ცხადი გახდა, რომ პირველობისთვის ბრძოლა ძირითადად მსოფლიო ჩემპიონს, ლვოველ ვ. კრიშჩიშინსა და სვერდლოვსკელ ვ. სმეტანინს შორის გაჩაღდებოდა. ამ 8 თვის წინ მათი ბრძოლა ვარშავის მსოფლიო ჩემპიონატში ლვოველის გამარჯვებით დამთავრდა. ამჯერად სმეტანინი უფრო კარგად მომზადებული გამოდგა და ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა. სამჭიდში მისი მაჩვენებელია 337,5 კგ. სმეტანინს 10 კილოგრამით ჩამორჩა კრიშჩიშინი. III ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონის თანაქალაქელი ა. გნატოვი — 317,5.

სმეტანინს შეეძლო მსოფლიო რეკორდსმენი გამხდარიყო, როცა აკვრაში 130 კგ აჩვენა, მაგრამ საკუთარი წონა ნორმაზე მეტი ჰქონდა და რეკორდი არ ჩაეთვალა.

შემდეგ ფიცარნაგზე გამოვიდნენ მჩატე წონის ათლეტები. სწორედ აქ იშვა შეჯიბრების პირველი საკავშირო რეკორდი. მინსკელმა რ. ბელენკოვმა 122,5 კგ აჰქმა, რაც 2 კილოგრამით სჯობს მისივე ამასწინანდელ რეკორდს. სამჭიდში ბელენკოვმა 357,5 კგ დააგროვა და ჩემპიონის ოქროს მედალიც დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ა. ვახონინი (შახტი), რომელიც გამარჯვებულს 2,5 კგ-ით ჩამორჩა. ბრინჯაო წილად ხვდა ვ. ანიკინს (რიგა) — 352,5.

თბილისელ დ. შანიძეს საკავშირო სარბიელზე ტოლი რომ არა ჰყავს, ეს ერთხელ კიდევ დაამტკიცა ამ პირველობამ. შანიძემ ჩემპიონობა შეინარჩუნა და სამჭიდში 387,5 კგ აჩვენა. ეს მისთვის დიდ შედეგად ვერ ჩაითვლება, მით უმეტეს, რომ სამჭიდში მსოფლიო რეკორდი ახლა უკვე 400 კგ-ს უდრის. II ადგილზეა ლუგანსკელი ნ. ვარავა — 382,5 კგ. ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა კრივოიროგელ ვ. უხანოვს — 370. „მეგობრობის თასზე" ამასწინანდელ საერთაშორისო შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ი. გოლუბცოვმა (დონეცკი), რომელსაც შანიძის ერთ-ერთ ძირითად მეტოქედ თვლიდნენ, აკვრაში ნული მიიღო.

ერთი წლის შესვენების შემდეგ მსუბუქ წონაში ჩემპიონის ოქროს მედალი დაიბრუნა მოსკოველმა ნ. ნაგაიცევმა — 420 კგ. ეს შედეგი ძალზე შორს დგას მსოფლიო რეკორდიდან და თვით ჩემპიონის პირად მიღწევასაც ჩამორჩება. ორი მოძრაობის შემდეგ ლიდერობდა ორენბურგელი ვ. ლაგრუხინი, რომელიც საბოლოოდ ჩემპიონს 2,5 კილოგრამით ჩამორჩა და ვერცხლის მედალი მიიღო. ისევე, როგორც შარშან, ბრინჯაოს მედალი წილად ხვდა ლვოველ პ. კოროლს — 410 კგ.

ვილნიუსში თავი მოიყარეს საბჭოთა კავშირის უძლიერესმა ძალოსნებმა. სამწუხაროდ, ზემძიმე წონაში ვ. ალექსეევისა და ლ. ჟაბოტინსკის ორთაბრძოლა ვერ შედგება, რადგან ეს უკანასკნელი ვილნიუსში არ ჩასულა. გულდასაწყვეტია ისიც, რომ ძალოსნობის მოყვარულები ვერ იხილავენ მსოფლიო ჩემპიონს მძიმე წონაში, შესანიშნავ ესტონელ ათლეტს ი. ტალტსს.

შეჯიბრება გრძელდება.

* * *

სურათზე: დ. შანიძე ასპარეზობისას.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# სამი ვიქტორის გამარჯვება

ერევანი, 23 აპრილი. დღეს აქ დამთავრდა საერთაშორისო ტურნირი თანამედროვე ხუთჭიდში სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს პრიზზე. საპატიო ჯილდო მეხუთედ დაისაკუთრეს მასპინძლებმა — სომხეთის ხუთჭიდელთა პირველი გუნდის წევრებმა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წარმომადგენელმა, 18 წლის ალმაათელმა ნოსწავლემ ვ. მონახოვმა — 5189 ქულა. II ადგილზეა სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონი ვ. ზახარენკო (ერევანი).

ბოლო სახეობის — მძლეოსნური კროსის წინ ლიდერობდნენ უნგრეთის გუნდი და გფრ-ის სპორტსმენი ვ. შმიდტი. რათა დაწინაურებულიყო, სომხეთის ნაკრებს ლიდერებისთვის რბენაში 11 წამი უნდა მოეგო და მან ამოცანა შეასრულა. II ადგილზეა უნგრეთის კოლექტივი, III — გფრ-ის გუნდი.

მონახოვი შმიდტს 34 ქულით ჩამორჩებოდა და რბენაში მასაც სულ ცოტა, 12 წამი უნდა მოეგო. შმიდტი კროსში წარუმატებლად გამოვიდა — 14.44,2 (41-ე ადგილი). საბჭოთა სპორტსმენმა 4-კილომეტრიანი ტრასა კარგად გაირბინა და მეორე შედეგი — 12.51,0 აჩვენა. მას აჯობა მხოლოდ ზახარენკომ — 12.43,0. III ადგილზეა სომხეთის ახალგაზრდული გუნდის ხუთჭიდელი ვ. მამაევი — 12.52,0.

ასე, მძლეოსნური კროსის შემდეგ საპატიო კვარცხლბეკზეავიდა ერთბაშად სამი ვიქტორი: გამოცდილი ზახარენკო, მისი ახალგაზრდა კოლეგები მონახოვი და მამაევი. (საქინფო).

# ვინც მეტ ქულას მოაგროვებს

თქმა არ უნდა, ბოლო წლებში საბჭოთა მოფარიკავეებმა სამართლიანად მოიპოვეს მსოფლიოში უძლიერესთა სახელი. მართლაც, უკანასკნელ ხანს იმდენმა ძლიერმა მოფარიკავემ მოიყარა თავი ჩვენში, რომ ძალიან ძნელია შეირჩეს სსრ კავშირის ნაკრები გუნდის შემადგენლობა. ამიტომ ფარიკაობის საკავშირო ფედერაციამ გადაწყვიტა გამართოს უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირი, რომელიც შერჩევითი ხასიათისაა. პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ სახეობაში 24 სპორტსმენი გამოდის. მათგან ყველას ერთნაირი შანსი აქვს მოხვდეს ჩვენი ქვეყნის რჩეულთა ნაკრებში. ასეთი ტურნირი სამჯერ იმართება. საბოლოოდ მსოფლიო პირველობაში სსრ კავშირის ღირსებას ის დაიცავს, ვინც მეტ ქულას მოაგროვებს და საუკეთესოთა ხუთეულში მოხვდება.

უძლიერეს მოფარიკავეთა ტურნირმა 21 აპრილს მინსკში აიღო სტარტი. პირველ დღეს საფარიკაო ბილიკზე გამოვიდნენ ესპადრონისტები. აქ აშკარა იყო შარშანდელ მსოფლიო პირველობაში გამარჯვებული ვ. სიდიაკის (მინსკი) უპირატესობა. ფინალში მან მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგო ლენინგრადელ ვ. ვინოკუროვთან და I ადგილიც დაისაკუთრა. II ადგილზეა უ. მავლიხანოვი, III — ვინოკუროვი.

დაშნით მებრძოლთა შეხვედრები სიურპრიზებით აღინიშნა. ყველასთვის მოულოდნელად აქ პირველი იყო მინსკელი ი. სმოლიაკოვი. აღსანიშნავია, რომ ტურნირში წარმატება მოიპოვეს ბელორუსიის სპორტსმენებმა. ამ რესპუბლიკის დაშნით მოფარიკავეები განსაკუთრებით ძლიერები არიან. ამას ისიც ადასტურებს, რომ ფინალში გასული 6 სპორტსმენიდან 3 ბელორუსიიდან გახლდათ. II ადგილი დაისაკუთრა ვ. რასოლკომ (ბელორუსია), III — ს. პარამონოვმა (უკრაინა).

# ა. მეტრეველი — უძლიერესთა ჯგუფში

მნიშვნელოვანი გამარჯვებები მოიპოვა თბილისელმა ჩოგბურთელმა მეტრეველმა იტალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც რომში მიმდინარეობს. პირველ წრეში მან დაამარცხა პროფესიონალი ფრანგი ჩოგბურთელი ბარტე — 10:8, 6:3, 6:2. როგორც ხედავთ, პირველი პარტია მწვავედ წარიმართა, შემდეგ კი თბილისელის უპირატესობა აშკარა გახდა. მომდევნო შეხვედრა მეტრეველმა მოუგო რუმინეთის ჩემპიონს ცირიაკს — 9:7, 3:6, 6:2, 6:3. ამ გამარჯვებით ქართველი ჩოგბურთელი მეოთხედფინალში გავიდა.

მეორე საბჭოთა ჩოგბურთელი კოროტკოვი პირველივე წრეში დამარცხდა პროფესიონალ ჩოგბურთელთან ელ-შაფეისთან (არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკა) — 2:6, 3:6, 1:6.

ქალთა ერთეულებში საბჭოთა სპორტსმენების შედეგები ასეთია: მოსკოველმა მოროზოვამ პირველ წრეში დაამარცხა იტალიელი პორციო — 6:2, 4:6, 6:3, მეორე წრეში — კვლავ იტალიელი, ამჯერად, ბასი — 6:0, 7:5. მაგრამ ეს იყო და ეს: მოროზოვა მეოთხედფინალში დამარცხდა ავსტრალიელ კრანტცკესთან — 3:6, 7:9. ტალინელმა კივიმ (პარმასი) პირველი შეხვედრა მოიგო იტალიელ მონამისთან — 6:1, 6:1, ხოლო მეორე წააგო კაზალსთან (აშშ) — 3:6, 2:6.

ვაჟთა წყვილებში კოროტკოვი პოლონელ გონშოროვსკთან ერთად გამოდის. პირველ წრეში მათ დაამარცხეს ძლიერი ავსტრალიურ-ამერიკული დუეტი ჰანტი და მარტინესი — 11:9, 6:3, 6:4.

ქალთა შორის მოროზოვამ და კივიმ მოუგეს არგენტინულ-ეკვადორულ წყვილს ვრანკოვიჩსა და გუზმანს — 6:2, 6:2.





# ტაქტიკაში — ორიანი

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა თბილისის მრავალდღიანი ველორბოლის ბოლო 2 ეტაპი, რომელთა შედეგებსაც ქვემოთ გთავაზობთ:

III ეტაპი (თბილისი — საგარეჯო — თბილისი, 90 კმ). პირადი: 1. ვ. ფეტისოვი — 2:15.11, 2. ვ. მალევანიკი (ორივე — „დინამო") — 2:15.13, 3. დ. კობაიძე („ბურევესტნიკი" — 2:15.14. გუნდური. 1. „ბურევესტნიკი", 2. „დინამო"...

IV ეტაპი (თბილისის ზღვის რკალი, 120 კმ). პირადი. 1. ვ. პოპოვი (ასკ) — 3:34.58, 2. ი. კრასავცევი („განთიადი", რუსთავი) — 3:35.00, 3. ა. კოსტეცკი („ბურევესტნიკი") — 3:35.05. გუნდური. 1. ასკ, 2. „ბურევესტნიკი", 3. „განთიადი"...

საბოლოო შედეგები (420 კმ. საშუალო სიჩქარე 38,1 კმ საათში). პირადი. 1. ი. კრასავცევი (უკონკურსოდ) — 11:03.36, 2. დ. კობაიძე (თბილისის ჩემპიონი) — 11:07.41, 3. ა. კოსტეცკი — 11:09.55, 4. შ. დაიაური („სპარტაკი") — 11:10.54. გუნდური. 1. „ბურევესტნიკი" — 56:16.59, 2. ასკ — 56:32.48, 3. „დინამო" — 56:35.43...

პირველი ორი ეტაპის შემდეგ ველორბოლის საშუალო სიჩქარე საკმაოდ მაღალი იყო. ყოველ შემთხვევაში, ასეთ სწრაფ ველოსიპედისტებს ჩვენს გზატკეცილზე კარგა ხანია არ უვლიათ. რბოლის ხასიათი უცვლელი დარჩა მესამე, რთული ეტაპის შემდეგაც. სხვათა შორის, ეს ეტაპი ფაქტიურად „დინამომ" მოიგო, მაგრამ წესის დარღვევისთვის იგი მსაჯთა კოლეგიამ დააჯარიმა და I ადგილზე „ბურევესტნიკმა" გადაინაცვლა. დინამოელები II ადგილზე დარჩნენ.

3 ეტაპის ჯამში ლიდერობა ხელთ იგდო „დინამოს" დუეტმა ფეტისოვ — მალევანიკის შემადგენლობით რომელსაც „თვალში უჯდა" ბურევესტნიკელი რ. საიდხუჟინი. საფიქრებელი იყო, რომ დაწინაურებულნი ბოლო ეტაპს ტაქტიკურად სწორად წარმართავდნენ და შეინარჩუნებდნენ უპირატესობას, მით უმეტეს, რომ ძლიერი ქარი მონაწილეებს დიდი მანევრირების საშუალებას არ აძლევდა.

მოხდა კი პირიქით. უსწორო და ყოვლად გაუმართლებელმა ტაქტიკამ, რაც მხოლოდ ერთმანეთის კონტროლით გამოიხატა, გუშინდელი ლიდერები საბოლოოდ უძლიერესთა ათეულს მიღმა დატოვა. ფეტისოვი IV ეტაპზე მალევანიკის დევნით იყო გატაცებული. ეს უკანასკნელი თავის მხრივ მთელ ყურადღებას თანაგუნდელს უთმობდა. ამასობაში კი რბოლის მონაწილენი ჯგუფ-ჯგუფად წინ გავიდნენ. ლიდერები გონს მხოლოდ მაშინ მოვიდნენ, როცა მათ უკან თითქმის აღარავინ იყო დარჩენილი.

ასეთი შეცდომა ოსტატებს კი არა, ახალბედებს არეპატიებათ. არ ეპატიებათ იმიტომ, რომ ველოსპორტში არსებობს კანონი, რომელიც ყველასთვის ერთია და სავალდებულო თუ ლიდერობა გსურს, მუდამ მოწინავეთა შორის უნდა იყო.

ბოლო ეტაპზე მძლავრმა პირქარმა მკვეთრად დასცა რბოლის საშუალო სიჩქარე. იყო მომენტები, როცა ველოსიპედისტები 18-20 კილომეტრზე მეტს ვერ ანვითარებდნენ.

და მაინც, თბილისის ტრადიციულმა ველორბოლამ სეზონის დასაწყისისთვის საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**ნ. ბუბუშვილი.**

* * *

სურათებზე: მარცხნივ — თბილისის ზღვის რკალზე რბოლის მომენტი; მარჯვნივ — თბილისის ჩემპიონი დ. კობაიძე შეჯიბრების შემდეგ. ფოტო მ. ზარგარიანისა.

# საქართველოს რეკორდები

## ცურვა

**1970 წლის 25 აპრილისთვის**

(50-მეტრიანი აუზებისთვის)

| | | | |
|---|---|---|---|
| **ქალები** | | | |
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 50 მ | 30,8 | ლ. ოსიპოვა (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 100 მ | 1.06,4 | ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი") | 1968 |
| 200 მ | 2.30,8 | ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი") | 1968 |
| 400 მ | 5.19,0 | მ. ყულიჯანოვა (თბილისი, „დინამო") | 1969 |
| 800 მ | 11.13,7 | ი. ამნიაშვილი (თბილისი, „დინამო") | 1969 |
| 1500 მ | 22.54,3 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი, „დინ".) | 1968 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 4.47,0 | საქართველოს ნაკრები (ი. ოვჩინიკოვა, ლ. ბერძენიშვილი, ი. ზოტოვა, ს. შაგოვა) | 1967 |
| **ბრასი** | | | |
| 50 მ | 37.7 | ლ. მარღანია (სოხუმი, „დინამო") | 1968 |
| 100 მ | 1.23,0 | ლ. ანდრეევა (სოხუმი, სპორტსკოლა) | 1967 |
| 200 მ | 2.59,0 | ლ. კრილოვა (თბილისი, „დინამო") | 1961 |
| **ბულაღმა** | | | |
| 50 მ | 32,2 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| 100 მ | 1.08,2 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| 200 მ | 2.31,9 | თ. ლეკვეიშვილი (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 50 მ | 34.4 | ნ. ჟიგალიოვა (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 100 მ | 1.14,0 | მ. გორბუნოვა (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| 200 მ | 2.50,7 | მ. გორბუნოვა (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| **კომპლექსური ცურვა** | | | |
| 200 მ | 2.43,5 | ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი") | 1969 |
| 400 მ | 5.53,3 | ი. ზოტოვა (ქუთაისი, „განთიადი") | 1969 |
| **კომბინირებული ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 5.02,8 | განათლების სამინისტროს ნაკრები (მ. ყულიჯანოვა, გ. სედიაკოვა, მ. გორბუნოვა, ი. ზოტოვა) | 1969 |
| **ვაჟები** | | | |
| **თავისუფალი სტილი** | | | |
| 50 მ | 26,4 | ბ. ნიკიტინი (თბილისი, „დინამო") | 1957 |
| 100 მ | 57,8 | ა. არტამონოვი (ბათუმი, „განთიადი") | 1969 |
| 200 მ | 2.07,8 | ბ. ნიკიტინი (თბილისი, „დინამო") | 1957 |
| 400 მ | 4.27,6 | ა იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 800 მ | 9.22,0 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1969 |
| 1500 მ | 17.39,8 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1969 |
| **ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 3.59,6 | საქართველოს ნაკრები (ბ. ნიკიტინი, ი. ვეკუა, ნ. შაშკინი, ნ. კარბუკოვი) | 1967 |
| 4×200 მ | 8.48,2 | საქართველოს ნაკრები (გ. კარბუკოვი, ვ. რომანოვი, ნ. ბინიუკოვი, ბ. ნიკიტინი) | 1959 |
| **ბრასი** | | | |
| 50 მ | 33.0 | კ. ანისიმოვი (თბილისი, „დინამო") | 1964 |
| 100 მ | 1.09,1. | ა. ტუტაკაევი (თბილისი, ასკ) | 1964 |
| 200 მ | 2.29,8 | ა. ტუტაკაევი (თბილისი, ასკ) | 1966 |
| **ბულაღმა** | | | |
| 50 მ | 30.6 | ბ. კასატკინი (თბილისი, „დინამო") | 1966 |
| 100 მ | 1.04,4 | დ. ფროლოვი (ბათუმი, „განთიადი") | 1969 |
| 200 მ | 2.24,0 | ვ. სნიმშჩიკოვი (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| **ბატერფლაი** | | | |
| 50 მ | 29,5 | ი. შკინინი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 100 მ | 1.04,2 | ბ. შიხიკიანი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| 200 მ | 2.19,9 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1968 |
| **კომპლექსური ცურვა** | | | |
| 200 მ | 2.21,6 | ბ. შიხიკიანი (თბილისი, „დინამო") | 1969 |
| 400 მ | 4.58,7 | ა. იოაკიმიდი (თბილისი, „დინამო") | 1967 |
| **კომბინირებული ესტაფეტა** | | | |
| 4×100 მ | 4.20,2 | საქართველოს ნაკრები (ბ. კამენსკი, ა. ტუტაკაევი, ბ. ნიკიტინი, ი. გიორგობიანი) | 1968 |

# საერთო საქმისთვის

სოხუმის 45-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა ა. მურკესმა იცის, საერთო საქმეს მარტო ერთი კაცის მონდომება რომ ვერ გასწევს. მას აქტიურად ეხმარებიან დირექტორის თანაშემწე ა. კრუპინსკიც, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ა. მინჯიაც, საწარმოო სწავლების ოსტატი გ. ვაჩეიშვილიც. სწორედ ამ ოთხეულის გულმოდგინე მეცადინეობის შედეგია, რომ ფიზკულტურასა და სპორტს სასწავლებლის ცხოვრებაში ღირსეული ადგილი უჭირავს.

აქ ხშირად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები. მაგალითად, ფეხბურთელთა ასპარეზობის პირველ ეტაპზე სტარტი 16 გუნდმა აიღო, ტრადიციულ მძლეოსნურ კროსში კი 312 მოსწავლე ჩაება (800-მეტრიან დისტანციაზე გაიმარჯვა ვ. ობუხოვმა). 8-8 გუნდი მონაწილეობდა მოჭადრაკეთა და მაგიდის ჩოგბურთელთა შეჯიბრებებში. დიდი ყურადღება ექცევა დილის ტანვარჯიშს, რომელსაც ყოველდღიურად ასრულებს საერთო საცხოვრებელში მცხოვრები 150 მოსწავლე. ამ წარმატებაში წვლილი საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს — ს საბუას და ს. გოგიასაც მიუძღვით.

სასწავლებელში რეგულარულად მუშაობს 5 სექცია (ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის და ტურიზმის). ახლახან ტურისტები ქლუხორის უღელტეხილზე იყვნენ. ლაშქრობიდან 11 კაცი „სსრ კავშირის ტურისტის" სამკერდე ნიშნით დაბრუნდა.

კიდევ ერთი რამითაა მოსაწონი ა. მურკესის მუშაობა: მას სანიმუშოდ აქვს მოწესრიგებული საბუთები. მაღალ დონეზე დგას სპორტის პროპაგანდაც. სისტემატურად უშვებენ სპორტულ ფურცლებს, აწყობენ ფოტოსტენდებს.

საინტერესოა ერთი საკითხი: რა დახმარებას უწევს ამ მონდომებულ ხალხს „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭო?

სასწავლებელში დღემდე არ მიუღიათ რესპუბლიკურ და საკავშირო სპორტღონისძიებათა კალენდარი 1970 წლისთვის, არა აქვთ რესპუბლიკური სპარტაკიადის დებულება. ამას გარდა, აუცილებლად სჭირდებათ მეთოდური ლიტერატურა, სპორტინვენტარი (ტანვარჯიშული ლეიბები მაინც), საწევრო წიგნაკები, საზოგადოების ალამი.

ამ პროფტექნიკურ სასწავლებელს კარგი ტერიტორია უჭირავს. აქ მშვენივრად შეიძლება მოეწყოს „ჯანმრთელობის კომბინატი" — მარტივი ტიპის სტადიონი. მუშაობა უკვე დაწყებულია, მაგრამ მშენებლობის დამთავრებისთვის 5 ათასი მანეთი მაინცაა აუცილებელი. ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოხუმი არც ისე მდიდარია ბაზებით და ამ სტადიონს ბევრი ორგანიზაცია იჯარითაც აიღებდა. ამით სასწავლებლის ფიზკულტურელებიც ისარგებლებდნენ და ქალაქის სხვა სპორტსმენებიც.

**ვ. ბუკინი.**

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოხუმი.

## ბათუმი

ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სპორტდარბაზში ოთხ დღეს მიმდინარეობდა აჭარის წლევანდელი პირველობა ფრენბურთში. ქალთა შორის უძლიერესი გამოდგა ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის გუნდი. მოსწავლეებმა ყველა შეხვედრა მოიგეს. II ადგილზე გავიდნენ ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის, III — „განთიადის" წარმომადგენლები. ვაჟთა კოლექტივებში იმარჯვეს განთიადელებმა, რომლებმაც გადამწყვეტი ბრძოლა მოუგეს სპორტსკოლელებს. III ადგილი ხვდა პედინსტიტუტის გუნდს.

**ლ. ქავთარაძე.**

## გალი

ქალაქის 1-ლი საშუალო სკოლის სპორტული მოედნები დიდხანს მოუწესრიგებელი იყო და მოსწავლეებს ვარჯიშის საშუალება არ ჰქონდათ. ფიზაღზრდის მასწავლებელმა რ. ოდიკაძემ ბავშვები შემოიკრიბა და ბაზები მათივე ძალებით მოაწყო. ახლახან აქ დამთავრდა შიდასასკოლო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ფეხბურთში, მძლეოსნობასა და ტყვიის სროლაში. მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადაშიც რ. ოდიკაძის აღსაზრდელებმა გამოიჩინეს თავი.

**გ. ჯოჯუა.**

## ზესტაფონი

პიონერთა სახლის მოჭადრაკეთა პირველობაში 25 მოსწავლე მონაწილეობდა. გაიმარჯვა თ. მინაშვილმა — 22,5 ქულა. II-III ადგილები გაიყვეს მ. მინაშვილმა (ორივე — რკინიგზის № 7 საშუალო სკოლა) და ა. ძაბირაძემ (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა) — 21,5-21,5.

* * *

დიდი ინტერესი გამოიწვია დაწყებითი (I-IV) კლასების მოჭადრაკეთა ტურნირმა. ყველას აჯობა მე-4 სკოლის მოსწავლემ თ. გოლოვაცკიმ — 18 ქულა (19-დან). II ადგილი დაიკავა მ. ბიწაძემ — 16. III-IV ადგილები გაიყვეს ბ. ბიწაძემ და ზ. თაბაგარმა (სამივე — მე-2 სკოლა) — 15,5.

* * *

გაიმართა ზესტაფონის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობები რუსულ შაშში. გოგონათა ტურნირში, რომელშიც 26 მოსწავლე მონაწილეობდა, I ადგილი დაიკავა ნ. კახნიაშვილმა (1-ლი სკოლა) — 18 ქულა. ჭაბუკებში გაიმარჯვა მ. ბიწაძემ (მე-2 სკოლა) — 19 ქულა 22-დან.

* * *

საზანოსა და ზოვრეთის საშუალო სკოლებს (ფიზაღზრდის მასწავლებლები შ. ორბელაძე და ს. ქვეტენაძე) კარგი სპორტული მეგობრობა აკავშირებთ ერთმანეთთან. ამ სკოლების მოსწავლეები ხშირად ატარებენ შეჯიბრებებს სხვადასხვა სახეობაში. ამას წინათ საზანოელებმა აჯობეს მეგობრებს ფეხბურთში, ჭადრაკსა და შაშში, მაგრამ დამარცხდნენ ფრენბურთში და მძლეოსნობის ზოგიერთ სახეობაში.

**ა. ბანუჩავა.**

## ოჩამჩირე

აქ დამთავრდა მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ჭადრაკში. თითოეულ გუნდში 4 ჭაბუკი და 3 გოგონა შედიოდა. I ადგილი დაიკავა მე-2 სკოლის გუნდმა, II — რკინიგზის მე-15 სკოლის ნაკრებმა, III — 1-ლი სკოლის კოლექტივმა. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: ჭაბუკებში — ბ. ნაყოფია (მე-15 სკოლა), გოგონებში — მ. ოქსუზიანი (მე-2 სკოლა).

**რ. ეფდია,**

შეჯიბრების მსაჯი.

# სტუმრები უფრო მწვავედ თამაშობდნენ




სსრ კავშირის კლუბების ნაკრები, რომელშიც შედიან მექსიკაში გამგზავრების ძირითადი კანდიდატები, წლევანდელ პირველ მატჩში, 23 აპრილს საკუთარ მინდორზე დამარცხდა პოლონეთის კლუბების ნაკრებთან — 0:2. 25 ათასი მაყურებელი, რომელიც ლუჟნიკის სტადიონზე მოვიდა, უკმაყოფილო დარჩა.

ჩვენი ფეხბურთელების თამაშში არ იგრძნობოდა სიმწვავე და სიზუსტე შეტევისას, შეცდომებით ითამაშეს მცველებმაც.

მატჩი მეტისმეტად მშვიდად დაიწყო. პირველი 30 წუთის განმავლობაში მასპინძლები არ აწუხებდნენ სტუმრების მეკარე შიგულას. მხოლოდ ტაიმის დასასრულს დაარტყეს კარში ბიშოვეცმა, სერებრიანიკოვმა და ხურცილავამ. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მეტოქეები „შინაურულ" საწვრთნელ შეხვედრას ატარებენ. მხოლოდ მეორე ტაიმის დასაწყისში გააქტიურდნენ მექსიკაში გამგზავრების კანდიდატები. მუნტიანის მოულოდნელად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, მერე კი მარჯვენა ფლანგზე სახიფათო სიტუაცია შექმნა მეტრეველმა.

სტუმრები დინჯად იცავდნენ თავს და დროდადრო კონტრშეტევებზე გადადიოდნენ. და აი, 78-ე წუთზე ჩვენი მცველები შეცდნენ და ახალგაზრდა პოლონელი ფეხბურთელის კოზერსკის მოულოდნელმა გარღვევამ სტუმრებს პირველი წარმატება მოუტანა.

პირველ შეცდომას, რომელშიც მთავარი დამნაშავე ლოვჩევი იყო, 4 წუთის შემდეგ მოჰყვა მეორე, და გადოხამ მეორედ აიღო საბჭოთა ნაკრების კარი.

გუნდები ასეთი შემადგენლობებით თამაშობდნენ: სსრ კავშირი — კავაზაშვილი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, ლოვჩევი, ხურცილავა, სერებრიანიკოვი, მუნტიანი, ასათიანი (კისელიოვი), ბიშოვეცი, მეტრეველი, გ. ნოდია; პოლონეთი — შიგულა, სტაზურსკი, ვინკლერი, სტშალკოვსკი, ანჩოკი, ბლიაუტი, კოზერსკი, ჩმიკევიჩი (დეინა), იაროსიკი, ბულია, გადოხა.

მატჩის შემდეგ პოლონელთა მწვრთნელმა რ. კონცევიჩმა განაცხადა, რომ ერთობ განცვიფრებულია საბჭოთა ფეხბურთელთა თამაშის ნელი ტემპით.

— მე მიმაჩნია, რომ გუნდი, რომელიც საბრძოლველად გამოვიდა ისეთი ძლიერი დაცვის მქონე მეტოქესთან, როგორიც ჩვენია, ვერ მიაღწევს წარმატებას, თუ ნელა ათამაშებს ბურთს მინდვრის ცენტრში. პოლონელი ფეხბურთელები ასწრებდნენ მძლავრი დაცვის აღმართვას კარის წინ და მოპირდაპირე ფორვარდების შეტევის მოგერიებას. სსრ კავშირის კლუბების ნაკრებში, ჩემი აზრით, ყველაზე სუსტად გამოიყურებოდნენ ნახევარდაცვა და განაპირა მცველები.

პოლონელ მწვრთნელს დაეთანხმა საბჭოთა გუნდის ხელმძღვანელი გ. კაჩალინი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ განვლილი მატჩი წმინდა სავარჯიშო იყო.

— ჩვენი ფეხბურთელები, — თქვა მან, — მოქმედებდნენ როგორც ჩვეულებრივ მეცადინეობაზე, თამაშობდნენ ხშირი გადაცემებით, ნაკლები გადაადგილებებით. ამასთან, მე მათ ჯერ ბევრს ვერც მოვთხოვ, ვინაიდან ისინი სულ ახლახან შეიკრიბნენ ერთად ორთვიანი შესვენების შემდეგ. ვფიქრობ, ეს წაგება მათზე გარკვეულ გავლენას მოახდენს.

* * *

24 აპრილს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების დასკვნითი ეტაპის ჩასატარებლად ბულგარეთს გაემგზავრა სსრ კავშირის ნაკრების 22 კანდიდატი. ისინი ივარჯიშებენ ბელმეკენის სპორტულ ბაზაზე, რომელიც 2200 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან. იქ ახლა მექსიკაში გასამგზავრებლად ემზადება ბულგარეთის ნაკრებიც.

მომავალ ოთხშაბათს საბჭოთა გუნდის პირველი შემადგენლობა რამდენიმე დღით დატოვებს ბელმეკენს და 30 აპრილს ბერნში ითამაშებს შვეიცარიის კლუბების ნაკრებთან. 2 მაისს ნაკრების მეორე შემადგენლობა ბორდოში შეხვდება ადგილობრივ გუნდს. ბულგარეთში დაბრუნებული საბჭოთა ფეხბურთელები 4 და 5 მაისს ითამაშებენ მასპინძელთა ნაკრებ გუნდებთან.

უფროსმა მწვრთნელმა გ. კაჩალინმა და მწვრთნელმა ა. პარამონოვმა ბულგარეთში წაიყვანეს: მეკარეები — რუდაკოვი და კავაზაშვილი, მცველები — ძოძუაშვილი, აფონინი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, ლოგოფეტი, ხურცილავა, ზიკოვი, ნახევარმცველები — ასათიანი, მუნტიანი, სერებრიანიკოვი, კისელიოვი, პაპაევი, თავდამსხმელები — ბიშოვეცი, გ. ნოდია, პუზაჩი, პორკუიანი, ევრიუჟიხინი, მეტრეველი და ხმელნიცკი. (საქინფორმი).

# სტატისტიკოსის ბლოკნოტში

სსრ კავშირის მიმდინარე საფეხბურთო ჩემპიონატში ოთხმა გუნდმა ჩაატარა საიუბილეო მატჩები. მე-800 შეხვედრა გამართეს მოსკოვის „სპარტაკმა", თბილისისა და კიევის დინამოელებმა, ხოლო მე-400 — ბაქოს „ნეფთჩიმ". ამ მატჩებში მათი მოწინააღმდეგენი შესაბამისად იყვნენ ქუთაისის „ტორპედო", როსტოვის არმიელები, ორჯონიკიძის „სპარტაკი" და მოსკოვის „ტორპედო".

იუბილარებიდან საიუბილეო მატჩი წააგო მხოლოდ ერთმა გუნდმა — თბილისის „დინამომ" (როსტოვში — 1:2).

ყველაზე აგრესიულად განწყობილი არიან თბილისელი და კიეველი თანაკლუბელები. მათ მხოლოდ თითო შეხვედრაში ვერ შეძლეს მეტოქეთა კარის აღება. ვერც ერთ შეხვედრაში ვერ შეძლეს საკუთარი კარის „მშრალად" შენარჩუნება დონეცკის „შახტიორმა" და ორჯონიკიძის „სპარტაკმა".

თავისებური რეკორდი დაამყარა თბილისელმა გ. ნოდიამ. 7 მატჩში მან 6 გუნდს გაუტანა გოლი.

7 ტურის შემდეგ ყველაზე პოპულარული ანგარიშია 1:0. ამ შედეგით 13 მატჩი დამთავრდა. 11-ჯერ ანგარიში იყო 0:0, ხოლო შვიდჯერ — 1:1, 2:1 და 2:0.

ყველაზე შედეგიანი იყო IV ტური — 21 გოლი (თითო მატჩში საშუალოდ 2,625 გოლი), ხოლო ყველაზე „გვალვიანი" — V ტური — სულ 7 (თითო მატჩში საშუალოდ 0,875 გოლი).

მოსკოვის დინამოელ კოზლოვის მიერ მესამე გატანილი ბურთი ლუგანსკელთა კარში მიმდინარე ჩემპიონატის საიუბილეო, მე-100 გოლი იყო.

ყველაზე ბევრი ფეხბურთელი (22) მოსკოვის „ტორპედოს" შემადგენლობაში გამოვიდა, ყველაზე ცოტა (15) კი მოსკოვის „სპარტაკისა" და „დინამოს", აგრეთვე, კიეველთა რიგებში.

თავისი ბოლო მატჩი თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ს. კოტრიკაძემ 1968 წლის მაისში ითამაშა დონეცკის „შახტიორთან". მაშინ მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1. და აი, 2 წლის შემდეგ კოტრიკაძეს კვლავ მოუხდა თავისი გუნდის ღირსების დაცვა. მეტოქე ისევ „შახტიორი" იყო. ანგარიშიც იგივე აღმოჩნდა — 1:1. გაშვებული გოლი თბილისელებისთვის ორმაგად საწყენი იყო: ჯერ ერთი, მათ დაკარგეს ქულა, და თანაც ეს გოლი, რომელიც პილიპჩუკმა გაიტანა, მე-1000 გაშვებული ბურთია თბილისელთა კარში ყველა ჩემპიონატის მანძილზე.

ზ. მადუაშვილი.

# რესპუბლიკურ ფედერაციაში

ამჟამად, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს „ა" და „ბ" კლასების ფეხბურთელთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფებისა და სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების რესპუბლიკური ტურნირი.

ამ ტურნირში მონაწილე ვანის „სულორმა" უმიზეზოდ გააცდინა 2 მატჩი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დებულების შესაბამისად ეს გუნდი მოხსნა გათამაშებიდან, ხოლო „სულორის" ხელმძღვანელობის საკითხს ხაგანგებოდ განიხილავს თავის სხდომაზე.

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

● „ბახმარო" (ჩოხატაური) — „იმერეთი" (თერჯოლა) 2:2. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

● „სამცხე" (აწყური) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:1. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0. შესვენების შემდეგ ანგარიში გახსნა აწყურელმა რეხვიაშვილმა, მაგრამ სტუმრებმა ენერგიულად ჩაატარეს მატჩის ბოლო ნაწილი და ყუფარაძემ შეძლო საპასუხო გოლის გატანა.

● „ლოკომოტივი" (სამტრედია) — „ქართლი" (გორის რაიონი) 1:1. მსაჯი ნ. შავიშვილი (ბათუმი).

● „მშენებელი" (ბორჯომი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2. მსაჯი მ. ხუტაბა (სოხუმი).

● „მზიური" (გალი) — „ცისკარი" (სიღნაღი) 1:0. მსაჯი ი. კუსიდი (ბათუმი).

● „ისანი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

ეს იყო ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა. „მეტალურგი" გათამაშების ლიდერია, ხოლო „ისანს" რეალური შანსები აქვს მოწინავეთა შორის მოხვდეს. ორივე გუნდი სრული ძონდოძებით ჩაება თამაშში და შუა ტაიმში თბილისელთა თავდამსხმელმა ჯიქიამ შეძლო მეტოქის კარის აღება. „მეტალურგმა" მარცხს ძლიერი კონტრშეტევებით უპასუხა, რაც დამთავრდა ფანცხავას საპასუხო გოლით.

შესვენების შემდეგ მატჩის სიმწვავემ ერთგვარად იკლო. 65-ე წუთზე ისნელთა ერთ-ერთი იერიში გოლით დაამთავრა ჯაგაშვილმა. ამ ბურთმა გადაწყვიტა მატჩის ბედი თბილისელთა სასარგებლოდ.

● „ენგური" (ზუგდიდი) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:1. მსაჯი ზ. კოლუაშვილი (გაგრა).

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „სქური" (წალენჯიხა) 0:1. მსაჯი ო. სირაბიძე (ბათუმი).

● „გიგანტი" (ლაითური) — „ეგრისი" (ცხაკაია) 0:0. მსაჯი რ. ლაზიშვილი (ბათუმი).

● „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 10 | 7 | 2 | 1 | 22—9 | 16 |
| „სქური" (წალენჯიხა) | 9 | 7 | 0 | 2 | 13—5 | 14 |
| „ფეიქარი" (წულუკიძე) | 10 | 5 | 3 | 2 | 12—8 | 13 |
| „ლოკომოტივი" (სამტრედია) | 10 | 4 | 4 | 2 | 15—8 | 12 |
| „სინათლე" (თბილისი) | 9 | 5 | 2 | 2 | 15—10 | 12 |
| ფიზკ. ინსტიტუტი (თბილისი) | 10 | 4 | 4 | 2 | 14—9 | 12 |
| „ისანი" (თბილისი) | 9 | 4 | 4 | 1 | 8—4 | 12 |
| „ეგრისი" (ცხაკაია) | 9 | 4 | 3 | 2 | 13—7 | 11 |
| „მზიური" (გალი) | 9 | 3 | 5 | 1 | 12—8 | 11 |
| „სამცხე" (აწყური) | 10 | 3 | 5 | 2 | 8—9 | 11 |
| „სალხინო" (გეგეჭკორი) | 9 | 2 | 6 | 1 | 9—7 | 10 |
| „ცისკარი" (სიღნაღი) | 10 | 2 | 5 | 3 | 5—5 | 9 |
| „ვარკეთილი" (გარდაბანი) | 10 | 2 | 5 | 3 | 8—9 | 9 |
| „გიგანტი" (ლაითური) | 8 | 2 | 4 | 2 | 6—9 | 8 |
| „ბახმარო" (ჩოხატაური) | 10 | 0 | 7 | 3 | 8—15 | 7 |
| „ქართლი" (გორის რაიონი) | 10 | 1 | 5 | 4 | 7—15 | 7 |
| „იმერეთი" (თერჯოლა) | 8 | 1 | 4 | 3 | 9—9 | 6 |
| ასკ (თბილისი) | 9 | 2 | 2 | 5 | 6—11 | 6 |
| „მშენებელი" (ბორჯომი) | 9 | 2 | 2 | 5 | 6—14 | 6 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 8 | 0 | 4 | 4 | 4—10 | 4 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 8 | 0 | 3 | 5 | 4—12 | 3 |
| „მესხეთი" (ახალციხე) | 8 | 1 | 1 | 6 | 5—16 | 3 |

# პირველი ლაურეატები

**სარატოვი, 23 აპრილი.** მოსკოველებმა ვ. ვასინმა და გ. ალექსეევამ დღეს ამ ვოლგისპირა ქალაქში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" პრიზზე გამართულ ასპარეზობაში პირველ ლაურეატთა სახელი მოიპოვეს (როგორც ცნობილია, ეს შეჯიბრებები 1944 წლიდან ტარდება). ვასინმა თავი გამოიჩინა 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში — 137,26 ქულა. ამ სახეობაში ბოლოსწინა ნახტომამდე ლიდერობდა მოსკოველი ვ. ლაგო, რომელმაც შეასრულა ყველაზე საინტერესო ნახტომი შინ დახრით და 3.5 ბრუნით. ლაგომ 134.15 ქულა დააგროვა.

მესამე იყო ევროპის ჩემპიონი მ. საფონოვი (მოსკოვი) — 132.08.

ალექსეევამ გაიმარჯვა კოშკიდან ხტომაში — 112.06. მეორე იყო სარატოველი გ. კოვალენკო (შერენკოვა) — 105,41, მესამე — ევროპის ჩემპიონი იუნიორთა შორის, ვოლჟსკელი ა. სელინა — 105,05. ეს 16 წლის სპორტსმენი დიდხანს სჯობდა ცნობილ ოსტატებს, მაგრამ პროგრამის ფინალური ნაწილი წარუმატებლად შეასრულა. (საქინფორმი).

# პართოვლება ბადმინტონის მეოვრაფია

ბადმინტონისტთა რესპუბლიკურ შეჯიბრებებში წლების მანძილზე უდავო იყო თბილისელთა აშკარა უპირატესობა დანარჩენ მეტოქეებთან, რომლებიც ენთუზიასტთა წყალობით ახერხებდნენ გუნდების შეკოწიწებას და, ტექნიკური არსენალის სიღარიბის გამო, ფაქტიურად, მხოლოდ ასპარეზობაში მონაწილეობას სჯერდებოდნენ.

შინაარსითა და ძალთა თანაფარდობით ეს შეჯიბრებები წყლის წვეთებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. მაგრამ ახლახან გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზში გამართულმა მოზარდთა რესპუბლიკურმა ჩემპიონატმა ცხადყო ბადმინტონისტთა როგორც რაოდენობრივი ზრდა, ისე მათი ოსტატობის ამაღლებაც.

კერძოდ, დიდი სიურპრიზი იყო, რომ შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის 8 სრული გუნდი ანუ 48 ბადმინტონისტი ჩამოვიდა (ეს პირველად მოხდა ჩვენი შეჯიბრებების ისტორიაში). აგიხსნით, რატომ ვამახვილებთ მონაწილეთა რაოდენობაზე ყურადღებას: ამ რამდენიმე თვის წინ ზოგ რაიონში გააუქმეს ბადმინტონის ისედაც თითო-ოროლა მოქმედი სექცია. სპორტის ეს სახეობა ადგილებზე უნდა ჩამკვდარიყო (მოვიგონოთ საჩივარი რუსთავიდან, რომელიც „ლელოს" ფურცლებზე გამოქვეყნდა), მაგრამ ამ თამაშისადმი ენთუზიასტთა და ბავშვების დიდმა სიყვარულმა თავისი გაიტანა. მაგალითად, ქუთაისელმა მწვრთნელმა ო. კაკულიამ ყველა მოზარდი ბეტოქარხნის ფიზკულტურულ კოლექტივში გადაიყვანით იხსნა განთესვისგან. რუსთაველ მწვრთნელს ბ. არუთინოვს უპატრონოდ არ დაუტოვებია გაუქმებული ჯგუფი. გორელი რ. კერესელიძე მისაბაძ მაგალითად უნდა იქცეს რესპუბლიკის ყველა მწვრთნელისთვის, რადგან პროფესიით ბიოლოგის მომზადებულმა კოლექტივმა დამსახურებულად დაიკავა II ადგილი ამ შეჯიბრებაში და ერთი ჩემპიონიც შესძინა გორს (ამას კი გორში მხოლოდ მოჭიდავეთა მწვრთნელები თუ დაიქადნიან).

ახლა თვით შეჯიბრების შესახებ. ორ ქვეჯგუფად დაყოფილი მონაწილენი თავიანთ ჯგუფებში წრიული სისტემით ასპარეზობდნენ.

I ქვეჯგუფში, სადაც თბილისის, გლდანის, რუსთავისა და ბათუმის გუნდები გამოდიოდნენ, თბილისის შემდეგ II ადგილი დაიკავა რუსთავის ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ პარტიებში აჯობა ბათუმისა და გლდანის წარმომადგენლებს (აქვე აღვნიშნავთ, რომ გლდანის სკოლა-ინტერნატის ბადმინტონისტთა დებიუტი მაინც დამაკმაყოფილებლად უნდა ჩაითვალოს).

II ქვეჯგუფში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა გორის გუნდმა, რომელმაც შესაბამისად დაამარცხა გარდაბნის (8:1), ქუთაისის (9:0) და სოხუმის (5:4) კოლექტივები.

ფინალურ შეხვედრებში თბილისელებმა შედარებით იოლად სძლიეს გორელებს, მაგრამ დანარჩენი ადგილებისთვის ბრძოლა უაღრესად დაძაბული იყო. ამას ტექნიკური შედეგებიც მეტყველებს: სოხუმი — რუსთავი 6:3 (მატჩი III-IV ადგილებისთვის), ბათუმი — გარდაბანი 5:4 (V-VI), გლდანი — ქუთაისი 6:3 (VII-VIII).

კიდევ უფრო მწვავე იყო პირადი პირველობისთვის ბრძოლა. მსაჯთა კოლეგიამ, შარშანდელი შეჯიბრების შედეგების გათვალისწინებით, ვაჟთა განთესვის დროს საშეჯიბრებო ბადის თავსა და ბოლოში თბილისელები გ. ღარიბოვი და ვ. ლიბახი მოაქცია. ასეც უნდა ყოფილიყო, მაგრამ პერიფერიების სპორტსმენებმა (პირველ ყოვლისა კი გორელებმა) საფუძვლიანად შეცვალეს ყველა სავარაუდო შედეგი. ჯერ იყო და გორელმა ზ. ცერცვაძემ ფინალისკენ მიმავალი გზა გადაუკეტა თბილისელ მ. ნაცვლიშვილს, შემდეგ კი მისმა თანაგუნდელმა თ. ბლიაძემ ნახევარფინალში დაამარცხა ლიბახი და ფინალის გადამწყვეტი პარტია მოუგო მოსწავლეთა შარშანდელი რესპუბლიკური სპარტაკიადის ჩემპიონს ღარიბოვს. თბილისელი ფავორიტი პირველად შეიცვალა.

გოგონათა შეჯიბრებაში კვლავ შარშანდელი პირველობის ფინალი გამეორდა. საქართველოს ჩემპიონმა ი. კონდრატიევამ დაამარცხა ტრადიციული მეტოქე რ. ოკინაშვილი. III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში თბილისელმა თ. ბაღაშვილმა სძლია ე. ძოძიშვილს (გორი). გოგონათა წყვილებში კონდრატიევა — ოკინაშვილის დუეტმა დაამარცხა ბაღაშვილი და ძოძიშვილი. III ადგილზე გავიდა სოხუმელთა წყვილი: ნიკიტინა — ხოპტინა.

დაძაბულად წარიმართა ვაჟთა წყვილების შეჯიბრება. აქ კვლავ ისახელეს თავი ბლიაძემ და ცერცვაძემ, რომელთაც ნახევარფინალში აჯობეს ნერსესიან — ავეტისოვის ძლიერ წყვილს. მათ მხოლოდ ღარიბოვისა და ლიბახის წყვილთან ფინალურ შეხვედრაში დათმეს პირველობა. ესეც გადამწყვეტ, მესამე პარტიაში მოხდა. III ადგილზე გავიდნენ ნაცვლიშვილი და მხითარიანი (რუსთავი).

ასევე მესამე პარტიაში გადაწყდა I ადგილის ბედი შერეულ წყვილთა შეხვედრებში: კონდრატიევამ და ღარიბოვმა დაამარცხეს ოკინაშვილი და ლიბახი. III ადგილი კვლავ გორელებს ბლიაძესა და ძოძიშვილს დარჩათ, რომლებმაც ნაცვლიშვილი და ბაღაშვილი დაამარცხეს.

მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, კარგი ტექნიკისთვის დაწესებული სპეციალური ჯილდო მიიღეს ბათუმელმა მ. მამინაიშვილმა (მწვრთნელი შ. ჯვარშავა) და გორელმა გ. სამნიაშვილმა.

შეჯიბრებას ჩინებულად ხელმძღვანელობდა გორის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი. კარგი შეფასება დაიმსახურა მთავარი მსაჯის მოადგილემ ზ. კვარაცხელიამ (სოხუმი).

გ. სამსონაძე,
საქართველოს ბადმინტონის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

# მეხიკოს სიგნალები

ციურიხი, 24 აპრილი, როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინა იუწყება, IX მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებს მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 4.800.000 კაცი დაესწრო. ყველაზე მეტი გულშემატკივარი (183.341) მოვიდა „მარაკანას" სტადიონზე ბრაზილიისა და პარაგვაის ნაკრები გუნდების მატჩის სანახავად, აშშ-ს და ბერმუდის კუნძულების გუნდების შესარჩევ მატჩს კი სულ 500 კაცი უყურებდა. დასწრების მხრივ პირველ ადგილზე აღმოჩნდა X ჯგუფი, რომელშიც გამოდიოდნენ ბრაზილიის, პარაგვაისა და ვენესუელის გუნდები — 679.194. შემდეგი ადგილები დაიკავეს XII (ურუგვაი, ჩილი, ეკვადორი — 570.342), და VII (გფრ, შოტლანდია, ავსტრია, კვიპროსი — 509.233) ჯგუფებმა. სულ, როგორც ცნობილია, 174 შესარჩევი მატჩი ჩატარდა.

მეხიკო, 24 აპრილი. 25 ბიჭი აცხადებს პრეტენზიას მთავარი გმირის როლზე მომავალ კინოფილმში, რომელიც ფეხბურთელთა IX ჩემპიონატის ფინალს მიეძღვნება. მთავარი რეჟისორის ა. ისააკის თანაშემწეებმა მთელი მექსიკა შემოიარეს და დედაქალაქში 10-11 წლის ბიჭების ათასობით ფოტოსურათი ჩამოიტანეს. ფილმის შემქმნელთა ჩანაფიქრით, მაყურებლებმა მსოფლიო ჩემპიონატი უნდა ნახონ პატარა ბიჭის თვალით, რომლისთვისაც სპორტი სიხარულის წყაროა. უკვე ცნობილია ფილმის სახელწოდებაც — „ფეხბურთი, მექსიკო-70".

* * *

ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანიის დირექტორმა მარიო სერესერომ თქვა, რომ წინასწარ განაცხადში შეყვანილი ორმოცივე მექსიკელი ფეხბურთელი 1,6 მილიონ დოლარადაა დაზღვეული. დაზღვევა ითვალისწინებს იმ ტრავმების კომპენსაციას, რომლებიც შეიძლება სპორტსმენებმა ჩემპიონატის დღეებში, წვრთნისა თუ ასპარეზობის დროს მიიღონ.




# 16 ფინალისტის საქმენი



## მექსიკელთა გამარჯვება

ლეონი, 23 აპრილი. მექსიკის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა აქ ანგარიშით 3:2 (2:1) დაამარცხა რუმინეთის მეორე ნაკრები.

## კენჭისყრამ გადაწყვიტა
## ...ნაკრების ექვსივე მოთამაშემ
## დაწინაურდნენ ინგლისელები და შოტლანდიელები

სტრასბურგი, 23 აპრილი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების აქ გამართული მესამე, დამატებითი ნახევარფინალური მატჩი ზაბჟეს „გურნიკსა" და იტალიის „რომას" შორის ისევ ფრედ დამთავრდა — 1:1.

საქმეში ჩაერია კენჭისყრა, რომელმაც ფინალში პოლონელები გაიყვანა. 29 აპრილს ვენაში „გურნიკი" გადამწყვეტ მატჩში შეხვდება ინგლისის „მანჩესტერ სიტის".

ბრიუსელი, 23 აპრილი. ბაზრობათა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში ადგილობრივმა „ანდერლეხტმა" დამაჯერებლად მოუგო სახელგანთქმულ ინგლისურ კლუბს „არსენალს" (ლონდონი) — 3:1.

მასპინძელთა შორის განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ბელგიის ნაკრების ექვსივე მოთამაშემ.

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა ლონდონში გაიმართება.

გლაზგო, 23 აპრილი. დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატში მწვავე ბრძოლით აღინიშნა შოტლანდიისა და უელსის ნაკრები გუნდების შეხვედრა. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0. 2 ტურის შემდეგ გათამაშებას 3-3 ქულით ლიდერობენ ინგლისელები და შოტლანდიელები. უელსელებს 2 ქულა აქვთ, ხოლო ჩრდილოეთ ირლანდიის წარმომადგენლებს — არც ერთი. მათ გლაზგოს „ჰემპდენ პარკის" სტადიონზე გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისისა და შოტლანდიის ნაკრები გუნდები.

# გუშინ...

ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის დახურულ აუზში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის II ტურის მატჩები. მოგვყავს პირველ შეხვედრათა შედეგები: „ლოკომოტივი" (მოსკოვის ოლქი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბი 8:5, „დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 6:2, „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (ალმა-ათა) 8:6. დანარჩენი შეხვედრები გვიან საღამოს დამთავრდა.

წყალბურთი

# ქალაქ ბუქარესტი

ბუქარესტი, 24 აპრილი. „რესპუბლიკის" ადგილობრივ სტადიონზე 25 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ისინი მიესალმებოდნენ რუმინეთის იუნიორ ფეხბურთელებს, რომლებმაც უეფა-ს ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვეს. რუმინელებმა გადამწყვეტი მატჩი მოუგეს პოლონელ თანატოლთა ნაკრებს — 1:0. გამარჯვების გოლი 76-ე წუთზე გაიტანა ბოლონიმ.

რუმინეთის ფეხბურთელებმა 5 ქულა მოაგროვეს. საბჭოთა ფეხბურთელებს 4 ქულა აქვთ, პოლონეთის ნაკრებს — 3.

ფინალური ტურნირი 16 მაისს დაიწყება შოტლანდიაში.

## გასწორება

„ლელოს" წინა ნომერში გამოქვეყნებული მასალის — „მოჭადრაკეთა საიუბილეო ტურნირები" — მესამე აბზაცის ბოლო წინადადება უნდა იკითხებოდეს ასე: „თითოეული პარტიისთვის მეტოქეებს 10-10 წუთი ეძლეოდათ".

მე-4 გვერდზე დაბეჭდილ „ახალ ამბებში" იალტიდან მიღებულ ცნობაში ა. ბონდარჩუკის შედეგი (უროს ტყორცნა — 72,94 მ) საუკეთესოა წლეულს სსრ კავშირში და არა მსოფლიოში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე

# ახალი ამბები

● ვინიპეგი, 23 აპრილი. მოცურავეთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ა. კოუგელმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ამ სახეობის ისტორიაში (დ. მაიერის შემდეგ) მეორე შედეგი — 4.34,8 აჩვენა და კანადის ახალი რეკორდიც დაამყარა.

# კოვაჩევიჩის სიურპრიზი

იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ როვინში გრძელდება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. მონაწილეებმა განვლეს 17-ტურიანი დისტანციის საკმაო ნაწილი — 9 ტური. ლიდერთა ჯგუფში არიან: რ. ფიშერი — 7 ქულა, ს. გლიგორიჩი — 6,5, ვ. კორტი — 6, ტ. პეტროსიანი და ვ. კორჩნოი — 5-5 (1-1), ე. ბრაუნი, მ. ბერტოკი — 5-5, ვ. სმისლოვი, დ. მინიჩი — 4,5-4,5.

ბოლო ოთხ ტურში ბევრი საინტერესო რამ მოხდა. ყველაზე დიდი სენსაცია იყო ფიშერის დამარცხება იუგოსლაველ ვ. კოვაჩევიჩთან. ახალგაზრდა ოსტატს კარგად აეწყო თამაში. მან ფიშერს გაბედულად შესწირა პაიკი, მერე, როცა იერიში გააღვივა, კიდევ ერთი პაიკის დათმობით, ყველა ფიგურით ამერიკელის მეფესთან მიიჭრა. შამათის გარდუვალი მუქარის გამო, 31-ე სვლაზე ფიშერი დანებდა. მაგრამ იგი მაინც ლიდერად დარჩა, ვინაიდან წინა ორ ტურში მოუგო ულმანსა და გიცესკუს, ხოლო მრავალტანჯული პარტია ივკოვთან ყაიმით დაამთავრა. კიდევ ერთი ყაიმი მან IX ტურში ვააკეთა სმისლოვთან.

სხვათა შორის, კოვაჩევიჩმა ფიშერთან შეხვედრამდე სძლია დიდოსტატ ულმანს, თუმცა მანამდე არც ერთი პარტია არ მოეგო.

აღმავლობით თამაშობენ გლიგორიჩი და კორტი. მათ, ისე როგორც ბერტოკს, ჯერჯერობით ერთი პარტიაც არ წაუგიათ. გლიგორიჩმა ორი შეხვედრა მოიგო და ამდენივე ყაიმით დაამთავრა. კორტმა ერთი (ივკოვთან) მოიგო და სამში (კორჩნოი, პარმა, მინიჩი) ყაიმზე შეთანხმდა. ბევრ მიმომხილველს სრულიად სამართლიანად მიაჩნია, რომ კორტიც საინტერესო ფიგურაა თანამედროვე ჭადრაკში. კორჩნოი წერს, რომ ჩეხოსლოვაკიელი მოჭადრაკე მალე უძლეველი იქნება.

პეტროსიანმა, კორჩნოიმ და სმისლოვმა, როგორც იტყვიან, ტემპს უმატეს. საგულისხმოა პეტროსიანის მოგება უდოვჩიჩთან, კორჩნოისა — ბრაუნთან და სმისლოვისა — ივკოვთან.

# 20 წ

◆ მოსკოვი, 24 აპრილი. საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა" და დონეცკის „შახტიორის" ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:1. ბურთები გაიტანეს დეგტიარიოვმა, სმიონოვმა (2) და დონეცკელმა იერიომჩენკომ.

◆ ნოვოსიბირსკი, 23 აპრილი. თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის XXV ჩემპიონატის ესტაფეტა მახაჩყალამ ნოვოსიბირსკს გადასცა — აქ დაიწყო ასპარეზობა დანარჩენ ხუთ წონით კატეგორიაში. მსოფლიო ჩემპიონმა ზ. ბერიაშვილმა („სპარტაკი") წმინდად მოუგო ს. გაჯიევს („ტრუდი"), გ. დგებუაძემ („ბურევესტნიკი") მ. ანდრეოსიანს („შრომითი რეზერვები") 16 ქულა აართვა, მაგრამ არც ამას დასჭირდა — მეტოქე ხალიჩას ბეჭებით გააკრა.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი, გაზეთ „ლელოს" რედაქცია იუწყებიან ქართული სპორტის ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის

**ისაკ დიმიტრის ძე კიზირიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 27, 28, 29/IV, 20 ს. გამოსვენება 30/IV, 17 ს. დიღმის მასივი, IV კვარტალი, VIII კორპუსი, IV სადარბაზო.

**თბილისის განათლების განყოფილების საწყლოსნო სახეობების სპორტული სკოლა** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში. სკოლაში მიიღებიან მოსწავლე გოგონები და ვაჟები 7-დან 12 წლის ასაკამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეგიძლიათ აუზის დირექციაში: საირმის ქ. № 40 (ორჯონიკიძის რაიონი, საბურთალო).

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი. საქართველოს ქალთა XXVI ჩემპიონატი. დღეს: გადადებული პარტიების დამთავრება. დასაწყისი 16 ს. 30 წ.

**ტყვიის სროლა.** ავჭალის სასროლეთი. 25-27 აპრილი. სსრ კავშირის 8 ძლიერესი გუნდის ტურნირი. დასაწყისი 10 ს.

**წყალბურთი.** ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის აუზი. დღეს: „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდების საკავშირო პირველობა. დასაწყისი 12 ს. და 19 ს. 30 წ.

**მძლეოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. თბილისის თასის გათამაშება სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდებს შორის. დასაწყისი: 26 აპრილს — 11 ს., 27-ში — 17 ს.

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. 26 აპრილი. „სინათლის" სტადიონი. „სინათლე" (თბილისი) — „იმერეთი" (თერჯოლა). დასაწყისი 17 ს. „ლოკომოტივის" სტადიონი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მზიური" (გალი). დასაწყისი 11 ს.

# წინაა პირენეის მთები

ლონდონი, 23 აპრილი. ლონდონ — მეხიკოს რალის შტაბ-ბინაში შემოსული ცნობების მიხედვით, ბულგარეთიდან წამოსულმა ავტომობილისტებმა ხუთშაბათს საფრანგეთს მიაღწიეს. შეჯიბრებას აგრძელებს 81 ეკიპაჟი, მათ შორის, ხუთივე „მოსკვიჩი". მრბოლელებს ელით პირენეის მთები, ასპარეზობა ესპანეთისა და პორტუგალიის გზებზე, შემდეგ კი სამხრეთ ამერიკაში გადასვლა.

ქალაქ მონცაში (ჩრდილოეთ იტალია), რომელიც თავისი ავტოდრომითაა ცნობილი, გადარბენის მონაწილეებმა პირველი 8-საათიანი შესვენება მოაწყვეს. მანამდე მანქანებმა 4480 კილომეტრი გაიარეს.

ავტომობილისტებს მომავალში კიდევ უფრო რთული გამოცდა ელით. ამას ის მოწმობს, რომ მარშრუტის პირველი, შედარებით იოლი მონაკვეთიც კი 15 ეკიპაჟმა ვერ დასძლია. მათი დიდი უმეტესობა შეჯიბრებას მანქანების დაზიანების გამო გამოეთიშა. სხვებმა კი, უბრალოდ, მკაცრ ბრძოლას ვერ გაუძლეს.

ბრძოლაზე უარი თქვა სამმა ინგლისელმა, რომლებიც მარათონისთვის ნაკლებად გამოსადეგი „ფოლკსვაგენით" ასპარეზობდნენ.

იუგოსლავიაში ავტომობილისტები სისწრაფეში აბარებდნენ გამოცდას. პირველი რბოლა მოიგეს პროფესიონალმა ტონი ფელმა და მისმა თანამეწყვილემ, ცნობილმა ფეხბურთელმა ჯიმი გრივსმა, რომლებიც „ფორდ-ესკორტით" გამოდიან. მეორე პრემია მოიპოვეს ფინელმა ნ. მიკოლამ და შვედმა გ. პალმმა, რომლებიც ასევე „ფორდით" გამოდიან და ინგლისის გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" მიერ იყვნენ „შეიარაღებული". სხვათა შორის, რალიში მონაწილეობისთვის გუნდები გამოგზავნეს სხვა რედაქციებმაც — ბელგრადის „პოლიტიკამ", ბი-ბი-სის რადიოკორპორაციამ, ინგლისის „სანდი ტაიმსმა"...

პირველ ჩქაროსნულ რბოლაში მეორე შედეგი აჩვენა ინგლისის ქალთა ეკიპაჟმა, რომელიც შორეულ მოგზაურობაში ლონდონის მოდების ჟურნალმა გაგზავნა.

ახლა საჯარიმო ქულები აქვს შეჯიბრების ყველა მონაწილეს, მათ შორის, რბოლის ლიდერის რ. ტრაუტმანის ეკიპაჟს, რომელიც „სიტროენით" გამოდის. ფრანგებს 5 საჯარიმო ქულა აქვთ. საბჭოთა მრბოლელებს მესამე და მეოთხე „ათეულებში" უკავიათ ადგილები. საბჭოთა ავტომობილისტებმა, როგორც, სხვათა შორის, შეჯიბრების მონაწილეთა უმეტესობამ, ყველა საჯარიმო ქულა ჩქაროსნულ უბნებზე მიიღეს.

მონცამდე ტრაუტმანის ეკიპაჟი, მისი მეუღლის სიტყვით (სხვათა შორის, ისიც ასპარეზობს ქალთა გუნდის შემადგენლობაში), სამჯერ გამოცვალა საბურავები. „თუ სამხრეთ ამერიკაშიც ასეთი გზა იქნა, — თქვა ქალბატონმა ტრაუტმანმა, — მაშინ რბოლას ალბათ მხოლოდ 10-12 მანქანა თუ დაამთავრებს". სამაგიეროდ, „ავტოექსპორტის" ინჟინერს ვ. შიროჩენკოვს, რომელიც № 40 „მოსკვიჩით" გამოდის, მიაჩნია, რომ „ჯერჯერობით ასპარეზობის ტრასა საკმაოდ იოლია".

მრბოლელებს ახლავს ბევრი მანქანა პრესის წარმომადგენლებითა და ტექნიკოსებით. საინტერესოა, რომ ორი საბჭოთა „ტექნიკოსი" საკონტროლო პუნქტზე შეჯიბრების ბევრ უცხოელ მონაწილეზე ადრეც მიდის ხოლმე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04246